2020 წლის 11 ნოემბერი

სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

სარევიზიო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი

სხდომის ჩატარების ადგილი - სხდომა გაიმართა დისტანციურად, ელექტრონული პროგრამა ვებექსის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდნენ სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

დავით ახალაური - თავმჯდომარე

ლელა ბჟალავა - წევრი, **თეიმურაზ მესხი** - წევრი, **გოჩა გარუჩავა -** წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ადვოკატთა ასოციაციის ფინანსური მენეჯერი - მედეა გამდლიშვილი

შპს „აუდიტ ცენტრის" აუდიტორი - გიორგი კახეთელიძე

სხდომის დაწყების დრო- 19:00 საათი

სხდომის დასრულების დრო - 21:25 საათი

დღის წესრიგი:

1. 2019 წლის ფინანსური აუდიტის დასკვნის განხილვა.
2. აუდიტის დასკვნაში დაფიქსირებული, ასოციაციის ფინანსური დოკუმენტების წარმოების შიდა კონტროლის მექანიზმის საკითხის განხილვა.
3. სხვადასხვა

სხდომა გახსნა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ დავით ახალაურმა. მან წევრებს კიდევ ერთხელ მოკლედ ჩამოუყალიბა 9 ნოემბრის სხდომაზე, აუდიტის დასკვნის განხილვის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხები და მოუწოდა კიდევ ერთხელ განეხილათ აუდიტის დასკვნაში დაფიქსირებული, ასოციაციის ფინანსური საქმიანობის შიდა კონტროლის მექანიზმის შემუშავების საკითხი. თეიმურაზ მესხმა დააფიქსირა პოზიცია და წევრებს

წარუდგინა, წესდების 25-ე მუხლი, რომელიც განმარტავს: - სარევიზიო კომისია ახორციელებს კონტროლს ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, აღმასრულებელი მდივნისა და მათ მიერ დანიშნული (დამტკიცებული) პირების კანონის, ასოციაციის წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე; თავისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სარევიზიო კომისია ვალდებულია კონკურსის წესით ყოველწლიურად შეარჩიოს და მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი.

თეუმურაზ მესხის აზრით აღნიშნული მუხლი სარევიზიო კომისიის წინაშე აყენებს საკითხს, რომ მათ სწორად განსაზღვრონ ის საჭიროებები, რაც მათ უნდა დაუყენონ დამოუკიდებელ აუდიტორს, და არა თავად ჩაატარონ დოკუმენტების შემოწმების პროცედურები. ვინაიდან მათ მიერ შერჩეული აუდიტორი ვალდებულია სიღრმისეულად შეისწავლოს თითოეული დოკუმენტი და პასუხს აგებს, რომ ბიუჯეტის ხარჯვის პროცესში თითოეული ოპერაცია დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

ლელა ბჟალავას აზრით, სარევიზიო კომისია შექმნილია არა იმისთვის, რომ ის შეიჭრას აღმასრულებელ ფუნქციებში. ის უფლებამოსილია, აღმასრულებელი საბჭოს მიერ შემუშავებული და დაგეგმილი ბიუჯეტის, რეალურ ხარჯვასთან შესაბამისობის სისწორეზე, რასაც წესდების 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კომისია ახორციელებს დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის საშუალებით.

კომისიის თავმჯდომარემ წევრებს კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ წესდების 27-ე მუხლის შესაბამისად, სარევიზიო კომისია ვალდებულია არანაკლებ 3 თვეში ერთხელ შეიკრიბოს. მისი აზრით, ვინაიდან აუდიტის დასკვნაში მითითებულია შიდა კონტროლის მექანიზმის არსებობის აუცილებლობის შესახებ , შიდა კონტროლის მიზნით, კარგი იქნებოდა 3 თვეში ერთხელ მათ მოეთხოვათ ფინანსური მენეჯერისგან და აღმასრულებელი მდივნისგან მათთვის საინტერესო ინფორმაციის წარდგენა. მან მოუწოდა წევრებს კენჭი უყარონ ამ წინადადებას.

გადაწყვეტილება: სარევიზიო კომისია სავალდებულო წესით შეიკრიბოს 3 თვეში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, აღმასრულებელ მდივანს ან/და ფინანსურ მენეჯერს წინასწარ მიმართონ და მოსთხოვონ სხდომაზე წარმოადგინონ, ასოციაციის ბიუჯეტით განსაზღვრული, იმ ეტაპისთვის მათთვის საინტერესო მუხლის ხარჯების გაშიფრვა და დოკუმენტაცია, რათა კომისიამ შერჩევით გადახედოს ამ პერიოდის დოკუმენტაციას. (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 0;)

დავით ახალაურმა წამოაყენა ინიციატივა, რომ კომისიის მიერ შიდა კონტროლის პროცესის უკეთ მართვისთვის, რეკომენდაციით მიემართოს ასოციაციის თავმჯდომარეს და აღმასრულებელ საბჭოს, რომ ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩაერთოს სარევიზიო კომისია. წევრებმა გაიაზიარეს მისი მოსაზრება და ერთხმად დაუჭირეს მხარი ამ ინიციატივას.

გადაწყვეტილება: რეკომენდაციით მიემართოს აღმასრულებელ საბჭოს, ასოციაციის ბიუჯეტის პროექტის განხილვის და მასში ცვლილების განხორციელებისას, საბჭოს სხდომაზე მიწვეულ იქნას სარევიზიო კომისიის ერთი წევრი მაინც. (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 0;)

კომისიის თავმჯდომარემ წევრებს მოუწოდა ემსჯელათ ბიუჯეტის მიხედვით გაწერილი - სარევიზიო კომისიის ხარჯის სახელწოდების ცვლილებაზე. წინა სხდომაზე გოჩა გარუჩავამ წამოაყენა ინიციატივა და წევრებს მიმართა, რომ ის ხარჯი, რაც მოიაზრება სარევიზიო კომისიის ხარჯის მუხლის ქვეშ (ეს არის ხარჯი, რომლის გაწევაც ხდება სარევიზიო კომისიის დადგენილებების შესასრულებლად), რეალურად არ არის სარევიზიო კომისიის შეკრების და მათი ფუნქციონირების მიზნებისთვის განსაზღვრული, შესაბამისად უმჯობესი იქნებოდა ბიუჯეტის მიხედვით დაფიქსირდეს, როგორც აუდიტის ან რაიმე მსგავსი შინაარსის მქონე სახელწოდებად. წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ ინიციატივას და ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილება: რეკომენდაციით მიემართოს აღმასრულებელ საბჭოს, მოხდეს 2021 წლის და შემდგომ ბიუჯეტებში სარევიზიო კომისიის ხარჯის ჩანაცვლება - შინაარსობრივად უფრო მეტად დაკონკრეტებული სახელწოდებით ან ბიუჯეტი გაიწეროს სხვაგვარად. (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 0;)

კომისიის თავმჯდომარემ წევრებს მოუწოდა, შეაჯამონ მსჯელობა და კენჭი უყარონ აუდიტის დასკვნის დამტკიცებას. მან აუდიტს დაუსვა კითხვა, რამდენად საკმარისია აუდიტის დასკვნაში მოცემულ ფინანსურ ანგარიშებს ხელს რომ აწერს მხოლოდ ფინანსური მენეჯერი. აუდიტორის განმარტებით, კანონის შესაბამისად და მისი მოთხოვნით, ანგარიშგებას ხელს აწერს მისი შემდგენი და ორგანიზაციის ხელმძღვანელი. გოჩა გარუჩავამ დაამატა, რომ თუ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს ფინანსური მენეჯერი და მას ორგანიზაციის ოფიციალური ბეჭედი ესმევა, ეს უკვე კანონის მოთხოვნებს სრულად პასუხობს, თუმცა, უმჯობესი იქნება ანგარიშგებას ხელი მოაწეროს მასზე უშუალოდ პასუხისმგებელმა პირმა, ან მის მიერ დელეგირებულმა პირმა.

გადაწყვეტილება: წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს ასოციაციის 2019 წლის აუდიტის დასკვნა; ამასთან, გამოითქვა პოზიცია, რომ ფინანსურ ანგარიშგებას, ფინანსურ მენეჯერთან ერთად ხელი მოაწეროს ასოციაციის ხელმძღვანელმა, ან მის მიერ ამ ფუნქციის დელეგირების საფუძველზე ამ უფლება-მოვალეობით აღჭურვილმა პირმა. (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 0;).

ასოციაციის ფინანსურ მენეჯერს, მედეა გამდლიშვილს დაევალოს 9 ნოემბრის და 11 ნოემბრის ოქმების მოკლე ვადებში აღმასრულებელი მდივნისთვის გადაცემა, რათა მან უზრუნველყოს აღნიშნული ოქმების წარდგენა აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე.

თავმჯდომარე - დავით ახალაური

წევრი - ლელა ბჟალავა

წევრი - თეიმურაზ მესხი

წევრი - გოჩა გარუჩავა